საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-747

07/08/2019

ქ. თბილისი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სოფ. ქვიტირის მიმდებარე ტერიტორიაზე მიწისქვეშა მტკნარი წყლის (სამეწარმეო მიზნით) მოპოვებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ გზშ-ს ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სოფ. ქვიტირის მიმდებარე ტერიტორიაზე მიწისქვეშა მტკნარი წყლის (სამეწარმეო მიზნით) მოპოვების სკრინინგის განცხადება.

დაგეგმილი საქმიანობა ითვალისწინებს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სოფ. ქვიტირის მიმდებარედ, მდ. რიონის ხეობის მარჯვენა ჭალისზედა პირველ ტერასაზე ჰორიზონტალური რელიეფის მქონე ტერიტორიაზე, მიწისქვეშა მტკნარი წყლის (სამეწარმეო მიზნით) მოპოვებას. წიაღითსარგებლობის ობიექტის კოორდინატებია: X-301538.530; Y-4677776.745; საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი დაშორებულია 1 კილომეტრით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, მოსაპოვებელი მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოცულობა შეადგენს: 365 000 $მ^3$-ს წელიწადში; სალიცენზიო ობიექტის (ჭა) სავარაუდო სიღრმე 17 მეტრია. საექსპლუატაციო მარაგი დამტკიცებული არ არის და იგი წარმოდგენილია (პროგნოზული) კატეგორიით.

სკრინინგის განცხადების თანახმად, წყლები ძირითადად ჰიდროკარბონატული, კალციუმიანი და კალციუმიანი- ნატრიუმიანი ტიპისაა. საერთო მინერალიზაცია 0.5 გ/ლ-მდე, საერთო სიხისტე ცვალებადია. ბაქტერიოლოგიური და ფიზიკური შემადგენლობა ასევე სანიტარული მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. წყლის გამოყენება შესაძლებელია სამეწარმეო დანიშნულებით. წყლის ტემპერატურა 14-15 ^{0}C-ია. სალიცენზიო ობიექტები არსებულია, სალიცენზიო ობიექტის (ჭა) თავმორთულობა მოწყობილია.

საინჟინრო გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ტერიტორია მიეკუთვნება I P(მარტივ) კატეგორიას. ტერიტორია შესწავლილია ჰიდროგეოლოგიური აგეგმვის სტადიაზე. წიაღითსარგებლობის ობიექტების ტერიტორიის გეოდინამიკური სიტუაცია სტაბილურია და ექსპლუატაციის პროცესში გართულებები მოსალოდნელი არ არის.

აღნიშნული მიწისქვეშა მტკნარი წყლის ჭაბურღილი (ჭა) წარმოადგენს არსებულ ობიექტს, ხოლო მიმდებარე ტერიტორიაზე სხვა პოტენციური დაბინძურების წყარო არ არსებობს. ტერიტორია უკვე ათვისებულია, გამომდინარე აქედან ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

ვინაიდან სალიცენზიო ობიექტი არსებულია და თავმორთულობაც მოწყობილია, შესაბამისად, ნარჩენების რაოდენობის გათვალისწინებით ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი. ასევე, საქმიანობის განხორციელების პროცესში ხმაურის წარმოქმნას არ ექნება ადგილი.

საპროექტო ტერიტორია არ ხვდება სახელმწიფო ტყის ფონდის, დაცული ტერიტორიების, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სიახლოვეს. ასევე, ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიასთან, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცული ხე-მცენარეები.

სკრინინგის განცხადების მიხედვით დგინდება, რომ დაგეგმილი საქმიანობა გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას არ გამოიწვევს.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-3 და მე-6 ნაწილების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სოფ. ქვიტირის მიმდებარე ტერიტორიაზე მიწისქვეშა მტკნარი წყლის (სამეწარმეო მიზნით) მოპოვება **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სსიპ ,,წიაღის ეროვნულ სააგენტოს“';
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სსიპ ,,წიაღის ეროვნული სააგენტოს“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი